საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №14

ქ.ლანჩხუთი **29.08.2018.**

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: აკაკი იმნაიშვილი, ამირან გიგინეიშვილი, იოსებ ჩხაიძე, თორნიკე ტიკაძე და ზურაბ კუკულავა.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა.მახათაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა.მახათაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ა.მახათაძე/

4. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ. მან ისაუბრა სარეზერვო ფონდის დებულებასა და განკარგვაზე, ასევე სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფაზე.

დეპუტატმა ამირან გიგინეიშვილმა დასვა შეკითხვა იმის თაობაზე, თუ რატომ გახდა აუცილებელი დღის წესრიგში აღნიშნული საკითხის შეტანა, რაზეც ალექსანდრე მახათაძემ გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერია სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფას ახორციელებდა კანონის შესაბამისად. ახლა ხდება საკრებულოს მიერ წესის შემუშავება კანონის გათვალისწინებით, რომლის დამტკიცების შემდეგ სარეზერვო ფოდიდან თანხების განკარგვა მოხდება მიღებული წესის შესაბამისად.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ. მან ისაუბრა აღნიშნული წესის ზოგად დებულებებზე, რომელშიც გადანაწილების მექანიზმი განისაზღვრა კანონის შესაბამისად. ასევე განმარტა ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების გადანაწილების ძირითადი პრინციპები და ისაუბრა მათი გადანაწილების მოთხოვნის წარდგენის განხილვასა და შესრულებაზე. მისი თქმით აღნიშნული წესის მიღების შემდეგ მუნიციპალიტეტის მერი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, საკრებულოს ნებართვის გარეშე შეძლებს თანხების (მთლიანი ბიუჯეტის 5%) მუხლიდან მუხლში გადატანას.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ. მან აღნიშნა, რომ 2018 წლის 18 იანვრის N136 განკარგულებაში შესული ცვლილების საფუძველზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების ფონდიდან 431101 ლარი ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში

შიდა გზებზე რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხების და ასფალტბეტონის მოწყობის სამუშაოებზე, აქედან სახელმწიფო ბიუჯეტიდან 409545 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით 21556 ლარი. ასევე სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 600000 ლარი. მან ასევე სხდომას გააცნო მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ქალაქის ადმინისტრაციულ ერთეულში მოსაწყობი რკინა ბეტონის სანიაღვრე არხების ჩამონათვალი, რომელთა დაფინანსებისთვისაც მუნიციპალიტეტისთვის სულ გამოყოფილია 431101 ლარი. კერძოდ: ყაზბეგის ქუჩა-67876 ლარი, ებრალიძის ქუჩა-33619 ლარი, გოგიჩაიშვილის ქუჩა 45971 ლარი, ცინცაძის ქუჩა 22434 ლარი, მშვიდობის ქუჩა- 30211 ლარი, ურუშაძის ქუჩა-87337 ლარი, ბაგრატიონის ქუჩა 65480 ლარი, ყოფილი ჭადრაკის სახლის მიმდებარე ტერიტორია-7173 ლარი და ყოფილი სასტუმროს მიმდებარე ტერიტორია-71000 ლარი. მან განმარტა, რომ აღნიშნული სამსახური მუშაობს იმაზე, რომ 31 აგვისტოს ჩანიშნულ საკრებულოს სხდომაზე წარმოადგინოს ჩამონათვალი სტიქიის შედეგად დაზიანებული იმ ობიექტებისა, რომლის დაფინანსებაც უნდა მოხდეს აღნიშნული 600000 ლარით.

დეპუტატმა იოსებ ჩხაიძემ დასვა შეკითხვა იმის თაობაზე, თუ რამდენად კანონიერია ბიუჯეტში განხორციელდეს ცვლილება, როცა უკვე ოფიციალურად დაწყებულია საარჩევნო კამპანია, რაზეც შოთა ჩაგუნავამ გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად ნებისმიერ დროს შეიძლება ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა, ხოლო ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსებისთვის თანხის გამოყოფა მთავრობის სხდომაზე დამტკიცდა მანამ, სანამ ოფიციალურად გამოცხადდებოდა არჩევნების თარიღი. დეპუტატმა ასევე დააყენა წინადადება, რომ საკრებულოს სხდომაზე მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი იყოს ზუსტი ჩამონათვალი იმ რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხებისა, რომლის დაფინანსებაცაა აღნიშნულ საკითხში წარმოდგენილი. ვინაიდან ებრალიძის, ცინცაძის და ურუშაძის ქუჩები არის ორ-ორი, ამიტომ ზუსტად იყოს დაკონკრეტებული რომელი ქუჩის რა მონაკვეთზე მიმდინარეობს სამუშაოები.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-6, წინააღმდეგი-არცერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ქ. ლანჩხუთი 29.08.2018 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №14

2018 წლის 29 აგვისტოს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მესამე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის №54 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

29.08.2018 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	11 50	
2	თორნიკე ტიკაძე	12 00	
3	გიორგი ჩახვაძე	ლ ესწრებოდა	
4	დავით ჩხარტიშვილი	ლ ესწრებოდა	
5	ამირან გიგინეიშვილი	11 45	
6	იოსებ ჩხაიძე	11 45	
7	აკაკი იმნაიშვილი	12 00	
8	ზურაბ კუკულავა	11 50	